კინგსის მათემატიკის ოლიმპიადა - I ტური

მე-5 კლასი

ძირითადი სავარჯიშოები (40 ქულა):

1. ოცდაჩვიდმეტისა და ცხრამეტის ჯამი შეამცირეს ოცდასამით. რა რიცხვი მიიღეს?
   A. ოცდასამი B. ოცდაცამეტი C. ჩვიდმეტი
2. გამოთვალეთ: 411-(123+49)-21=
   A. 316 B. 218 C. 228
3. ჩამოთვლილთაგან რომელია 857-ის ტოლი?
   A. 8 ასეული, 5 ოცეული და 7 ერთეული
   B. 8 ასეული, 2 ოცეული, 1 ათეული და 7 ერთეული
   C. 8 ასეული, 2 ოცეული, 5 ათეული და 7 ერთეული
4. რა შეიძლება ეწეროს *-ის ნაცვლად, რომ მოცემული უტოლობა იყოს სწორი? (ორივე *-ის ნაცვლად ერთი და იგივე რიცხვი უნდა ჩასვათ)

$$* + (97 - 19) > 89 - *$$

   A. 8 B. 2 C. 5
5. ამოარჩიეთ უმცირესი (ყველაზე მცირე):
   A. 745-(123-39) B. 711-(472-367) C. 319+(208+145)
6. უმცირეს სამნიშნა რიცხვზე უმცირესი ორნიშნა რიცხვით ნაკლები რიცხვია:
   A. 99 B. 89 C. 90
7. მამას ასაკი 4-ით მეტია ნინის, ნანასა და ნატას ასაკების ჯამზე. რამდენ წელიწადში იქნება მამას ასაკი გოგონების ასაკთა ჯამის ტოლი?
   A. არასოდეს B. 2 წელიწადში C. 4 წელიწადში
8. 5 ვარდი და 3 ტიტა ღირს იმდენივე, რამდენიც 3 ვარდი და 2 მიხაკი.
   რომელი უფრო ძვირია, 1 ვარდი და 1 ტიტა, თუ 1 მიხაკი?
   A. თანაბარი ფასები აქვთ
   B. ვერ დავადგენთ
   C. 1 მიხაკი უფრო ძვირია

ბონუს სავარჯიშოები (10 ქულა):

9. რამდენი წვერო აქვს კუბს?
   A. 12 B. 8 C. არც ერთი
10. დაასახელეთ მიმდევრობის შემდეგი წევრი:
   3, 45, 37, 4, 46, 38, 5, 47, 39, 6 ....
   A. 48 B. 40 C. 7